წელიწადი 1-ლი

ტელეფონი №

ოთხშაბათი 17 მაისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 3 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს

№ 30 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა და მექარხნეთა საყურადღებოთ.

ქ. ქუთაისის ხელოსანთა, მრეწველთა და მექარხნეთა წარმომადგენლებს წინასწარ კრებაზე 12 მაისს 1917 წელსა. დადგენილ იქმნა ერთხმად: მოწვეულ იქმნეს ქ. ქუთაისის ყოველივე დარგის ხელოსნოების, ქარხნების და სავაჭროების მეპატრონენი (ხაზეინები) ვინაც კი დაქირავებული მუშით აწარმოებენ თავიანთი სავაჭრო-სამრეწველო ქარხნებს, ანუ სახელოსნოებს ე. ი. უნდა გამოცხადდენ ყველა ის პირნი, ვისაც ყავთ დაქირავებული მუშა, მოხელე, ხელოსანი და მსახურნი, მიუხედავათ მუშათა რაოდენობისა ქ. დიდია, თუ მცირე რიცხვი სულ ერთია .1. ზემოხსენებულნი პირნი უნდა მობრძანდენ ქუთაისის ქალაქის თეატრში ხუთშაბათს 18 ს მაისს 1917 წელს საღამოს 7 საათზედ კრებაზედ, რათა თანახმად ახალი მთავრობის განკარგულების და წინადადებისა აირჩიონ თავიანთი მუდმივი წარმომადგენელნი .1. ვაჭარ მრეწველთა კლასის ინტერესების დამცველნი პირნი 1 რომელნიც შევლენ თანასწორ ხმის უფლებით „მომრიგებელ-შემთანხმებელ კამერებში.“, მუშათა და მათ დამქირავებელთა შორის, ყოველივე მომხდარ უკმაყოფილებათა მოსაწესრიგებლათ და შესათანხმებლათ. ამასთანავე ეცნობებათ ზემოხსენებულ მოქალაქეთ, რომ იმ „შემთანხმებელ კამერის“ მიერ დადგენილებანი სავალდებულო იქნება, როგორც სამრეწველოთა მეპატრონეებისათვის, აგრეთვე მუშებისათვისაც.

კრება არ გადაიდება და კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი პირიც, რომ არ უნდა გამოცხადდეს კრებაზე; ამიტომ ინტერესი სარგებლიანობის, ზემოხსენებულ ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა მოითხოვს, რომ კრებას ყველანი უკლებლივ დაესწრნენ და აირჩიონ შეგნებულნი და გამბედავი მოქალაქენი თავიანთ წარმომადგენლებად.

ვაჭარ მრეწველთა და ხელოსანთა წინასწარი კრების მონდობილობით კრების მომწყობი კომისიის წევრნი: ვასილ ტყეშელაშვილი იოსებ პავლეს ძე გვეტაძე. მიტროფანე ლალიძე.

მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება ,,ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

სატახტო ქალაქის ცირკი მმ. ეჟიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ოთხშაბათს 17 მაისს გაიმართება დიდი საგასტროლო წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ახლად ჩამოსული გასტროლიორები. დღეს მეორე საგასტროლო გამოსვლაა ცნობილი ბელგიელი ტრუპის

5 კლიკეტისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს აღმოსავლეთის მსახიობი ჩიჟუ და მთელ ქვეყანაზე ყველაზე პატარა სალი ნიუსი. ამას გარდა მონაწილეობას მიიღებს საუკეთესო ძალები ცირკისა. დღეს კავკასიურ ჭიდაობის მეშვიდე დღეა იჭიდავებს: 1. თფილისელი მოჭიდავე ღილდელი პატარა გორელის წინააღმდეგ. 2 წყვილი: სერგო ჯაფარიძე დაგეთელის წინააღმდეგ.

დასაწყისი 8 ნახევარ საათზე.

ელექტრო **,,რადიუმ“** თეატრი

15 მაისს საგულისხმიერო პროგრამა

მკურობელი

დრამა 5 ნაწილათ კარაბანისა, პავლოვისა და ბარანცევიჩის მონაწილეობით

1. ნაწილი: აწეწილი გრძნობა. 2. აღდგენილი წარსული, 3. მათი საიდუმლოება, 4. ცხოვრების ზეიმი, 5. სიყვარული და სიკვდილი.

ანონსი: მზადდება დასადგმელათ შემდეგი სურათი **ბუხართან**. მაქსიმოვისა, პოლონსკისა და ხოლოდნაიას მონაწილეობით. **შავი ყვავები.**

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

დღეს:

წერილები:

ინ-ხანი—ქართული უნივერსიტეტი.
ია ქავლაძე—გლეხობა და ჩვენი პარტიები.
მიწის საკითხი.
დ. თომაშვილი—ჩვენი თავისუფლება (ლექსი).
dis—გლეხთა ყრილობა.
ი. იმერელი—ცუდი საშუალება.
შ. ბუაჩიძე—ჩვენი ესფერები.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნული კითხვა. ნეკროლოგი. მოწერილი. ამბები. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

15 მაისიდან 1917 წ. საგულისხმიერო პროგრამა

შვილო ჩემო სად ხარ შენ?

დრამა 6 ნაწილათ, პრაჟანსკაისა, გლინსკის, შპალცის და სოტანაგოვის მონაწილეობით.

ანტოშა და ცეცხლის მქრობელი, კომედია 2 ნაწილათ. ანტონ ფერტნერის მონ.

ანონსი: მზადდება გრანდიოზული საგულისხმო სურათი **როზა გრენადი**. რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ლინა კავალიერი.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ **აბაშაში** და **ახალსენაკში** იყიდება ვაგონებით (არა ნაკლებ 1000 ფუთისა) ადგილობრივი **სიმიდი** ფუთი 2 მან. 87 კაპ. ვაგონებში დატვირთვით.

მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ სიმიდი შემდეგნაირათ: ფუთი 2 მან. და 87 კაპ. ანგარიშით უნდა შეიტანონ ხვედრი ფული ქუთაისის ხაზინაში ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე (на текущій счетъ Кутаисскаго Губернскаго Продовольственнаго Комитета) № 79304 და კვიტანცია წარმოადგინონ კომიტეტში, რის შემდეგ კომიტეტი გასცემს სათანადო განკარგულებას ნაყიდი სიმიდის მყიდველისათვის გასაცემად

3-1 ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადაჭრის შემდეგ საკითხს.

რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. რედაქცია

ქართული უნივერსიტეტი.

რევოლუცია ბევრს სიკეთესა შობს, ბევრს ახალ-ახალ, საგულისხმო კითხვებს ატივტივებს ცხოვრების ზღვაზე. დღეს ისეთ რამეებზე ლაპარაკისა და საქმიანობის საშვალება მოგვეცა, რომელნიც სიზმრადაც კი არ მოგვეჩვენებოდა რაც დღეს ოცნების საგანს შეადგენს, ხვალ რეალ სინამდვილედ იქცევა. ეს თვისებაა რევოლუციისა. ძველის ნანგრევებზე, ახალი უკეთესი შენდება. ჩვენც უნდა ვაშენოთ და ვქმნათ, საქმიანობის უნარი უნდა გამოვიჩინოთ. პატივცემული გაზეთი „საქართველო“ გვატყობინებს, რომ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა ერთ წრეს ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრი დაბადებია, ნაგულისხმევია ჯერ სიბრძნის ფაკულტეტი“ ორი ფაკულტეტებისაგან შემდგარი —საისტორიო ფილოლოგიურისა და აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტებისაგან.

ასეთ ამბავს არ შეუძლია ყოველი ქართველი კაცის გული არ გაახაროს. რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ რამოდენიმე ასი წლით უკან დასწია ჩვენი ეროვნული კულტურის წინსვლა და აღორძინება. იძულებული შეიქნა ყოველი ახალ-გაზრდა ქართველი უმაღლესი სწავლის მისაღებად სამშობლოს 5 და 10 წლით გაშორებოდა. ჯერ საშუალო სკოლა ჰკლავდა ქართული ენის ახალგაზრდობაში გაღვივების საქმეს. იძულებული იყავი კაცი რუსული ენა პირველ ადგილზე დაგეყენებია მშობლიური კი უკუ გეგდო და მხოლოდ სოფლის ვაჭრებისათვის შეგენახა მარქაფად. წახვიდოდი ძალ-ღონით სავსე ქართველი რუსეთში და იქ კიდევ მეტი გასაქანი ეძლეოდა ასიმილაციას. და ბოლოს იმდენამდი მივიდა საქმე, რომ ქართველმა კაცმა ქართული ენა აიწუნა. მაზე ლაპარაკს ჩოთირობდა მაზე აზროვნება ველარ შესძლო, წერა აღარ მოუხერხდა. გლეხისთვის სწავლა-დამთავრებული შვილი უცხო კაცად მოდიოდა შინ. ამაში საშინელი ტრაღედია გამოსჭვივის მამაშვილს ურთიერთის არა გაეგება რა. ქართველი ინტელიგენტი ისეთის მსოფლ მხედველობით ბრუნდებოდა სამშობლოში, რომელიც ქართული ენის ღირსებას ამდაბლებდა.

ხალხში თან და თან იკიდებდა ფეხს (სასირცხოდ ჩვენ და დღესაც ასეა) უარსაყოფი, ყოვლად ბავშური და მახინჯი აზრი, ვითომ ჰკვიანი სიტყვა ქართულად არ ითქმის; ვითომ მეცნიერება ქართულად ვერ გაიზრდება, ვითომ ჭეშმარიტი განათლება მხოლოდ ის არის, რომელიც რუსულ ენაზედ ხდება. დაიწყეს ინტელიგენტებმა და გააღრმავეს ხალხში. ასეთი შეხედულება სამშობლო ენაზე დიდათ სჩაგრავდა, როგორც გონებრივად, ისე სულიერად, ხრწნიდა ჩვენს ერს. რევოლუცია ამის წამალი გამოდგა. 1905 წლიდან მოყოლებული ხალხი. თვალებს ახელს და დღეს კი სხვა აზრი ტრიალებს. დროც იყო!

უნივერსიტეტის მნიშვნელობა ყველასათვის აშკარაა. თუ ჩვენს მეცნიერებს ეს აზრი ფაქტად ექცად, დიდება მათ სახელს! ისინი ჩაუყრიან საფუძველს პირველ ქართულ უნივერსიტეტს.

„სიბრძნის ფაკულტეტის“ პირველად დაარსება დიდი წინ დახედულება არი. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ სპეციალი განათლების ხალხნი გვჭირია, **ქართულად აღზრდილნი**. თბილისის პოლიტეხნიკუმი რუსული იქნება. მაშასადამე ქართული ეროვნული იდეისათვის მას ფასი არ ექნება. (ჩვენ გვინდა **ქართულად** სპეციალური საგნებს შესწავლა ნაკლებობა ექიმების, ტეხნიკოსების, მეურნეთა, კოოპერატორთ-, საზოგადოებრივ მეცნიერების მცოდნეთა, მეტად საგრძნობი შეიქნა. ამაზე ზრუნვას ეხლავე მტკიცე ნიადაგი უნდა ჩაეყაროს. მეცნიერებმა—თავით, ვაჭრებმა—ფულით, მუშამ—შრომით, მთელმა ერმა კი მორალურისა და მატერიალურის დახმარებით, ყველამ გვერდით უნდა ამოუდგეს ამ აზრის მეთაოსნეთ და ხელი შეუწყონ მას ყოველ მხრივ.

უნდა შუბლზე გვეწეროს ყოველ წუთს, რომ შინაურ, ქართულ საქმეებზე ჩვენზე უკეთ ვერვინ იზრუნებს. ჩვენ თუ შეგნებულად დავიწყეთ ეს დიდებული საეროვნო, საკულტურო საქმე, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. თუმც გაწევ-გამოწევა და პარტიობა გვჩვევია მაგრამ ვფიქრობ, რომ ქართული უნივერსიტეტის აუცილებლობაში არავინ გამოგვედავება ქართული უნივერსიტეტი, მართალია, თავდაპირველად ვერ გამოიღებს ისეთ ნაყოფს, როგორიც სასურველია. საამისოდ არ მოგვეპოება საკმაო ძალები, ჩვეულება, ტრადიციები. ისე რასაც ჩვენში მეცნიერება ეწოდება, მოკლებულია საკუთარ კვლევა ძიების საფუძველს-ამ სულსა და გულს მეცნიერებისას.

ქართული უნივერსიტეტი საფუძველს ჩაუყრის ასეთს კვლევა ძიებას და ამით ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ აზროვნების შექმნას.

მივესალმებით ქართულ უნივერსიტეტს როგორც კერას **ქართული მეცნიერებისას** როგორც ძლიერ იარაღს ქართულის თვით შეგნებისას.

ინ-ხანი.

მიწის საკითხი.

ამ დღეებში კავკასიის ჯარის ყრილობამ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების თანახმად მომავალ დემოკრატიულ რუსეთში მიწაზე კერძო საკუთრება უნდა მოისპოს და მისი სოციალიზაცია დაწესდეს.

სოციალიზაცია გათანასწორებულ მიწის მფლობელობას ჰქვიან. ესე იგი მიწა აღარ იქნება კერძო საკუთრება და იგი გადავა ხალხის ხელში. უფრო დაწვრილებით ახსნა განმარტება მიწის მფლობელობის ასეთ ფორმისა, არც თვით მის ავტორებს აქვთ. ამიტომ ძალაუნებურად უფრო მის უარყოფით მხარეზე გვიხდება ლაპარაკი, ვიდრე დადებითზე. მარტოოდენ ერთი მიწის გასაზოგადოება, როდესაც ქალაქში კაპიტალი და წარმოება კერძო საკუთრების ხელში რჩება, თავისთავად მხოლოდ გაუგებრობაა. თუ სოციალიზმი შედეგია ეკონომიურ პირობათა ობიექტიურ განვითარებისა და თუ ეს პირობები უკვე არსებობენ—მაშინ სოციალიზმი უნდა ქალაქიდან დაიწყოს. სოფელი, საიდანაც იწყობენ სოციალიზმის განხორციელებას ზოგიერთი თეორეტიკოსები აგრარულ სოციალიზმისა, ძალიან ღარიბი ნიადაგია ამისა. რა სჭირია დღეს გლეხს უფლებრივ გათანასწორება და ეკონომიური გამაგრება. მარტივად რომ ვსთქვათ ,ამოქალაქება და მიწა, ესე იგი დემოკრატიზაცია და არა სოციალიზაცია.

თანამედროვე ევროპის მეურნეობა ინტენსიურია. ინტენსიურივე იქნება მეურნეობა ჩვენშიც. ინტენსივობა კი მიწის ხანგრძლივ მფლობელობას მოითხოვს. შეიძლება კი მიწის ხანგრძლივი მფლობელობა სოციალიზაციის პრინციპზე? ეჭვი არ არის, რომ ერთი მეორეს სპობს, ან გლეხმა უარი უნდა სთქვას მიწის ინტენსიურ კუ-

ლტურაზე, რაც ეკონომიურ ცხოვრების უკან დაწევას ნიშნავს, ან ის ამას არ მოისურვებს და თავის ნაჭერ მიწის ფაქტიური მფლობელი გახდება, რაც უკვე სოციალიზაცია აღარ იქნება. თანამედროვე საკუთრება ისტორიულად დაჩემების და მფლობელობის ვადაზეა აგებული... მომავალი თემი რომ გლეხს მიწას მიუზომავს, თუ მის მფლობელობის დრო განსაზღვრა, ეს გლეხის მეურნეობაში ჩარევას ნიშნავს. თუ არ განსაზღვრა, გამოდის, რომ მფლობელობა უვადო და უკონტროლოა და გლეხი, თანახმად ჩვეულების და მფლობელობის კადისა ისევ მესაკუთრედ ხდება ერთის სიტყვით, საიდანაც უნდა მოუაროთ ამ საკითხს, მხოლოდ გაუგებრობას იწვევს. რა არის ამის მიზეზი მერე? მხოლოდ თვით მიწის სოციალიზაციის ცალფეხობა. ერთის მხრივ იგი კაპიტალს ხელუხლებლივ სტოვებს, მეორეს მხრივ შრომას არ ასაზოგადოებს.

მიწის საკითხის გადაწყვეტა საქართველოში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ჩვენში მეურნეობა უკვე ინტენსიურია,' კულტურა მიწისა უფრო მაღალია. ჩვენი მიწის კულტურა ყურძნის, თამბაქოს, აბრეშუმის, ჩაის და სხვათა კულტურაა. ამ რთულ კულტურის ნიადაგზე ისეთი მესაკუთრეობის ფსიხოლოგია შემუშავდა, ჩვენ რომ ჩვენი გლეხის წინაშე მიწის სოციალიზაციის პროგრამით გამოვცხადდეთ, სასაცილოდ არ ეყოფა. მისი რთული მეურნეობასთან შედარებით სოციალიზაცია რეაქციონული, მისი სამეურნო სისტემის ამრევ-დამრევი და ყოვლად უმწეო ზომაა.

მაშ, როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი ჩვენში? მიწის საკითხი იგივე გლეხის საკითხია. გლეხი უნდა გათანასწორდეს უფლებრივად და მიეცეს საკუთრებად იმდენი მიწა, რამდენიც საჭიროა მის მეურნეობისთვის.

„სახარ."

რუსული პრესა.

„ბირჟ. ვედ." კოალიციურ სამინისტროს შესახებ სწერს:

„კოალიციური მთავრობის შედგენა აწ მომხდარი ფაქტია. დროებითი მთავრობა ყველამ სასტიკად გაასამართლა და გასწირა. ამ უკანასკნელად მთავრობის კოლეგიაში შევიდა სოციალისტების უმეტესობა. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას. ძველმა რეჟიმმა და დროებითმა მთავრობამ კისერი იმიტომ კი არ მოიტეხეს, რომ მათ გუჩკოვები თუ მილიუკოვები ბოლშევიზმთან, თუ „მენშევიზმთან", შეუთანხმებლად განაგებდენ ქვეყანას, არამედ იმიტომ, რომ მათ ვერ შექმნეს ძლიერი და სასტიკაი სხელმწიფური დისციპლინა, რომელიც ყოველ მოქალაქეს თავის მოქმედებაში პასუხს მოსთხოვდა. თუ ბურჟუაზიულმა მმართველობამ ვერ გამოიჩინა სიმწიფე და ნიჭი რევოლუციურ მომენტში ქვეყნის საგამგებლოდ, თუ მან გამოცდას ვერ გაუძლო, დღეს გამოცდაზე მიდიან სოციალისტები და ვნახოთ, როგორ შესძლებენ ქვეყნის პატრონობას.

საქმე ის კი არ არის, რომ მთავრობა სახელით არსებობდეს, არამედ ის, რომ იგი იყოს ფაქტიური გამგე სახელმწიფოსი, მას ხელთ ეპყრას ძლიერი უფლება და აღჭურვილი იყოს სა ერთო ნდობით ეს მიუცილებელი პირობა სახელმწიფოს ცხოვრებისთვის. მთავრობა, რომელიც ამას ვერ შესძლებს, თქმა არ უნდა ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანს. ჩვენთვის საჭიროა კაჟისებური მთავრობა, რომელიც უშიშრად გამოსცემს თავის დეკრეტებს და განაგებს ქვეყანას.

გლეხთა ყრილობა.

რევოლუციური სტიქიონი ელვის სისწრაფით განაგრძობს ძველ ცხოვრების გარდაქმნას. განახლების ქარიშხალს პატარა საქართველოც იმედ მოსილი უღებს კარს. საუკუნოებით ბორკილებს ქვეშ მკვნესარე საქართველომ დღეს ახალი თავისუფლების მიმნიჭებელი ცხოვრება უნდა გამოიჭედოს. საქართველოს კეთილდღეობისათვის ყველას ერთნაირ ალტაცებით უნდა უძგერდეს გული. ასე უნდა იყოს, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამა თუ იმ ერის სიმაგრე, სიმტკიცე და კეთილშობილება უმთავრესად მშრომელ მასსაზე, გლეხობაზეა დამყარებული. ჩვენი ცხოვრების არსებობის ქვა-კუთხედი გლეხობაა, დღეს დაბეჩავებული და გალატაკებული. საქართველოს სიკეთე წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც გლეხობა წელგამაგრებული, შეგნებული და გათვითცნობიერებული ჩაებმება ერის საშემოქმედო ფერხულში.

გლეხობას გადაწყვეტილი აქვს 20 მაისს გაიმართოს თბილისში თავის ბჭობა-ყრილობა. ეს მეტად სასურველი მოვლენაა, ასეთ ყრილობას შეუძლიან მოგვცეს 1 ნახევარ მილიონ ქართველ გლეხობის აზრი და მსოფლ-მხედველობა, რომელიც ასე რიგად გვეჭირვება ამ მომენტში ქართული ცხოვრებისათვის. დირექტივები ყრილობას ჩვენ ვერ წარვუდგენთ, ეს თვით გლეხთა წარმომადგენლების საქმეა, მაგრამ გეტყვით ორიოდე სიტყვას.

როგორიც არ უნდა იყოს დღეს რუსეთის მდგომარეობა, როგორაც არ უნდა იქცეოდენ ამ ჟამად რუსეთის გლეხები, ქართველ გლეხობას სჭირია საკუთარი ჭკუა, მოსაზრება და მოქმედება. რაც რუსეთში შესაძლოა და შესაფერი, — ხშირად ხდება, რომ, — იგი ქართულ ცხოვრებას, ჩვენს ადგილობრივ პირობებს არ შეესაბამება. მაშასადამე, გვჭირია ტაქტიკა ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებული. თქმა არ უნდა, ყრილობაზე საერთო ყურადღების კითხვად დაისმება — მიწის კითხვა. აი, ამ კითხვას ეჭირვება დიდი დაკვირვებით მოპყრობა. ყოველივე აჩქარება და ნაადრევად გააწყვეტა ამ უდიდეს კითხვისა შეიძლებად საშვილიშვილო ბოროტებად გაგვიხდეს. ამიტომ საჭიროა დღეს ქართველი გლეხობა იმ გზას დაადგეს, რაც არსებულ ცხოვრებას შეეფერება. ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ მიწის სოციალიზაციაზე ე. ი. მიწის განსაზოგადოებაზე.

შეიძლება ასეთ ზომის საწინააღმდეგო არავის ჰქონდეს რა, მაგრამ აქ უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენად უშველის ქართულ ცხოვრებას მიწის მფლობელობის ხსენებული ფორმა. ქართველი გლეხი, თუ ღატაკი აზნაური ამ ჟამად სრულიად არ არის მომზადებული მიწის სოციალიზაციისთვის. მისი სული ისევ კერძო მფლობელობას [illegible]. იგი დღე და ღამ იმის ფიქრშია, როგორმე გააფართოვოს თავის საკუთრება, გაამშვენიეროს თავის ბაღი და ვენახი და მჭიდროთ დაემკვიდროს მას. გარდა ამისა ქართველ გლეხს საკუთრებაში სხვა დამახასიათებელი თვისებაც აქვს, მაგრამ ყველას აქ მოთვლა ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან იგი საყოველთაოდ ცნობილია. ქართველ გლეხობას ჰმართებს საღი მოსაზრებები შეიმუშაოს ყველა კითხვის შესახებ.

ქართველმა გლეხობამ ყურადღება უნდა მიაპყრას ქართულ ცხოვრების ყოველ საჭიროებას მან თავისი მედგარი სიტყვა უნდა სთქვას საქართველოს შინაურ თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელ თავისუფლების გარეშეც მისი კეთილდღეობაც წარმოუდგენელია. წმინდა სიყვარულით მივესალმებით ქართველ გლეხთა ყრილობას და ვუსურვებთ, მას გამოიჩინოს გამოცდილება, დაკვირვება და ენერგია საკუთარ საქმეთა მოსაწესრიგებლად და საქართველოს კეთილდღეობის დასამყარებლად.

Dis

საჭიროა აგენტები.

მიაკითხეთ „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში.

მსოფლიო ომი.

დასავლეთის ასპარეზზე

პარიზი. 11 მაისი. ოფიციალი. გუშინ, დაახლოვებით საღამოს 8 ნახევარ საათზე გერმანელებმა ვოკლერის მაღლობზე იერიში მოიტანეს, წინასწარ ენერგიულად ყუმბარების დაშენით მომზადებული. მტერი მძიმე დანაკლისით უკუვაგდეთ. ამ რაიონში 9 მაისს წამოყვანილი ტყვეები ათნი სხვადასხვა დივიზიების ექვს პოლკს ეკუთვნიან. 18 აპრილიდან დაწყებული სუასონისა და ობერივს შუა წამოვიყვანეთ 8600 ჯანმრთელი გერმანელი. შამპანში მეტად ენერგიული საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. მასიკისა და მარონვილის რაიონებში პარტრულთა შეჯახებას საარტილერიო ცეცხლი სცვლის.

ლონდონი 12 მაისი. ოფიციალი. გუშინ გერმანელები თავს დაესხნენ არმანტიერის მიდამოებს, რომელიც ავიცილეთ თავიდან ტყვიისმფრქვეველთა შემწეობით და ზიანიც მივაყენეთ მტერს.

პარიზი 13 მაისი. ოფიციალი. დღე და ღამის განმავლობაში საყურადღებო არ მომხდარა.

ჰავრი 11 მაისი. დიქსმიუდეს ხაზზე მტრის რაზმები გავფანტეთ. ჟიმონის მახლობლად ავაფეთქეთ მტრის თხრილი. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

იტალიის ასპარეზზე

რომი. 11 მაისი. ოფიციალი. არსოზე მესამე არმიის ძლევამოსილებით კოსტანევიციდან მოყვანებული ზღვამდე გავარღვიეთ მტრის ხაზი. ჩვენმა ჯარმა წინწაიწია ბოსკომიაკოსა და ლიკაებისაკენ. დავიპყარით ჯამვანი და მეტად მნიშვნელოვანი გამაგრებული მაღლობები. წამოვიყვანეთ 9000 ტყვე, მათ შორის 300 ოფიცერი.

რომი. 11 მაისი. კარსოში ტრიესტის ყურესთან ინგლისის გემმა ჩვენი ჰაეროპლანების დახმარებით ავსტრიის ნაპირებს დაუშინეთ. დავანგრიეთ მტრის სადარაჯოები და არსენალი.

აღმოსავლეთის ასპარეზზე.

პეტროგრადი. 11 მაისი ოფიციალი. 9 მაისს გალიჩის ჩრდილოეთით ლაიპიპს დაშნას აღმოსავლეთ ნაწილზე მტერმა მსროლავი გაზის ტალღა გმოუშვა, მაგრამ ჯარმა წინააღმდეგი მიმართულება მიიღო და თვით მტრის სანგრების გასწვრივ მიაშურა.

რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზზე.

პეტროგრადი. 11 მაისი. არსებითი ცვლილება არსად მომხდარა.

პეტროგრადი. 14 მაისი. ოფიციალი. ჩვეულებრივ სროლა სწარმოებს.

პეტროგრადი. 12 მაისი. ოფიციალი. გრძელდება ჩვეულებრივი სროლა.

მფრინავთა მოქმედება.

პეტროგრადი. 11 მაისი. აჟუდის დასავლეთ რაიონში ჩამოვაგდეთ მტრების ჰაეროპლანი. პილოტი ჩვენმა თვითმფრინავმა ტყვედ წამოიყვანა. ოვატას სამხრეთით 25 ვერსის მანძილზე ყუმბარები იქნა ჩამოყრილი ოსმალების კარვებზე.

ლონდონი. 12 მაისი. გუშინ მოხდა რამოდენიმე რიგი საჰაერო ბრძოლისა. ძირს ჩამოვაგდეთ მტრის 5 ჰაეროპლანი. დანარჩენ ექვს საფრენს ზიანი მივაყენეთ და ძირს ჩამოეშვნენ. ჩვენ დაგვაკლდა 3 ჰაეროპლანი.

პეტროგრადი. 14 მაისი. კავკასიისა და რუმინეთის ფრონტებზე მფრინავთა მოქმედებაა.

12 მაისს ჩვენმა ჰაეროპლანებმა სადგურ პინსკზე მოახდინეს თავდასხმა და ჩამოყარეს 6 ყუმბარა. შემჩნეულია რკინის გზის ლიანდაგზე თავდასხმა და აგრეთვე ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გაჩენილი ცეცხლი.

პეტროგრადი. 12 მაისი. მტრის თვით მფრინავმა 4 ყუმბარა ჩამოაგდო რიგის დასავლეთ ნაწილით შლოკში.

პარიზი 13 მაისი 11 მაისს ჩვენი ჰაეროპლანები შეებრძოლენ მტრის მფრინავთა რაზმს, ჩამოვაგდეთ მოწინააღმდეგის 3 აპარატი.

ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა წრის კომისია ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ ოთხშაბათს 17 მაისს გაიმართება ეროვნულ-დემოკრატ (განურჩევლად სქესისა) სტუდენტთა კრება, რომელიც მოხდება სადგილ-მამულო ბანკის შენობაში საღამოს 6 საათზე. ვსთხოვთ პროვინციაში მყოფ ამხანაგებსაც აუცილებლივ დაესწრონ.

ქუთ. ერ. დემ. სტ. წრის კომისია.

ახალი ამბავი.

◆ქართველ ისრაელთა ახალგაზრდობის წრე სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ქართველ ისრაელთა ახალგაზრდობა თანდათანობით ირკვევა და კულტურულ წინმსვლელობას იჩენს გუშინ საღამოს 6 საათზე მოხდა

ჩვენი გლეხობა და ჩვენი პარტიები.

(სადღეისო განსჯანი).

მე კარგად ვიცნობ ჩვენს გლეხობას, ვინაიდგან მე თვითონ გლეხთაგანი გახლავართ.

მართალია პაპაჩემი გურულ ერისთვიანთ კარის მღვდელი ყოფილა და მამაჩემიც მღვდლობდა ოსეთში, მაგრამ ქართველი მღვდელიც ისეთივე მონა იყო ჯერ ბატონისა და მერე რუსის მოხელისა, როგორც დღეს ბევრი ჩვენთაგანი მონაა თავისი პარტიული მოძღვრებისა და თვალდახუჭული, სარწმუნოებივრის გატაცებით (ფანატიზმით) იცავს იმას, რასაც ასე სასაცილოთა და სავალალოდ ხდის ცხოვრების სინამდვილე.

მართალია ისიც რომ ჩემი პირადი მდგომარეობისა გამო, იძულებული ვარ უფრო ქალაქ ადგილას ვიმყოფებოდე და ვწიო ის მძიმე უღელი, რომელსაც ეწევა გლეხთა წიაღიდან გამოსული ინტელიგენცია, მაგრამ დემოკრატიული ხალხოსნური სულისკვეთება ჩემი არასოდეს არ ჩამქრობია და აგერ ოცდახუთი წელიწადია ვუკვირდები და ვსწავლობ ჩვენი დაბა-ქალაქების მშრომელთა მისწრაფებას.

იშვიათია ისეთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, რომ ხანგრძლივად არ მეცხოვროს იქ, არ არის არც ერთი ჯგუფი მშრომელთა, რომ არ დავკვირვებოდე მის იდეალებს, არ არის ისეთი წრე, ისეთი დასი, რომ არ ვიცნობდე მათ საუკეთესო წარმომადგენელებს. დიაღ, მე ვიცნობ საქართველოს დემოკრატიას — გლეხობას, მუშას, ხალხის უბიდან გამოსულ ინტელიგენციას, ხელოსნებს, ნოქრებს და სხვადასხვა.

ვიცნობ ჩვენს გაუბედურებულს, დაკნინებულსა და გადაგვარებულ არისტოკრატიასაც, ვიცნობ გადემოკრატებულ ნაწილს თავად-აზნაურული ინტელიგენციისას, ვიცნობ ჩვენებურ ბურჟუებს, სამღვდელოებას, მოხელეებს და სხვადასხვა.

ვიცნობდი და ვხედავდი საერთო პოლიტიკურ ცხოვრებას ჩვენის ერისას, რომელი პოლიტიკური ცხოვრებაც ასე უცაბედად გადაბრუნდა და დაადგა ხალხთა განთავისუფლების გზას.

ვიცნობ და ვხედავ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებას ჩვენის ხალხისას და ამიტომ მინდა სრულიად გულწრფელად, სრულიად მიუდგომლად გამოვსთქვა ჩემი აზრი დღევანდელ ჩვენი ყოფნის შესახებ.

რასაკვირველია ჩემი ეს აზრი არავისათვის სავალდებულო არ არის, არც არავის ვახვევ მას თავზე, მაგრამ თუ ეს აზრი სიმართლესთან ახლო იყოს, ვსთხოვ ჩემს მკითხველებს, თუ საჯაროდ არა, თავის გულში მაინც დასტური დამცენ და ჩემთან ერთად დაჰგმონ ყველაფერი ის, რაც კი ხელს უშლის ჩვენი ხალხის, ჩვენის ერის გათვითცნობიერებას, გამოფხიზლებას, გაერთიანებას, აყვავებას, წარმატებას, გაძლიერებას, გათავისუფლებას.

თუ ეს ასე მოხდა, ესე იგი, თუ თითოეულმა ჩვენთაგანმა თავისი პარტიული ჟინი, თავისი პირადი ყოყლოჩინობა, თავისი კერძოობითი მეობა დაუმორჩილა, დასთურგნა და შეუფარდა საერთო საერო მოთხოვნილებას, მე მრწამს, რომ მალე დამყარდება ის ძმობა-ერთობა, რომლის შეძახებაც ამდენს ღაღადებდენ უკეთესი შვილნი მთელის კაცობრიობისა და რომლის სახელითაც დღეს ასე ვჩაგრავთ და ვიბრიყვებთ იმათ, ვინც ჩვენს ბანაკს არ ეკუთვნის...

მარქსი, თუ ენგელსი, ჰერცენი თუ მიხაილოვსკი, ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე, ნ. ჟორდანია, თუ ანჩინი და სხვა მათი მსგავსნი ციდან არ ჩამოცვივნულან, არც ესა თუ ის პარტიაა უმნიშვნელო და არაყურადსაღები, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით — ასი წლის მონობამა და არა ბუნებრივმა და მშობლიურ ნიადაგს მოკლებულმა აღზრდა-წვრთნამ ჩვენის ახალთაობისამ — ერთი დიდი ნაკლი შეგვძლვნა დღევანდელ ქართველობას.

ჩვენ; — ნასწავლები, ამა თუ იმ პარტიის ზოგიერთა ხელმძღვანელები, მათი ყურმოჭრილი დამქაშები, და საზოგადოდ, ისინი ვინც ჭკუას ვიჩემებთ — კარგად ვერ ვუვლით ჩვენ მშრომელ ხალხს და მის ინტერესებს, კარგად არ ვუკვირდებით ჩვენს ისტორიას, კარგად არ ვიცნობთ ნიადაგსა და მიწადმფლობელობას ჩვენის ქვეყნისას, კარგად ვერ ვეპყრობით გლეხობას, და ხშირად ვეძლევით ხოლმე თავდავიწყებას.

ჩვენა გვგონია რომ რაც მარქსმა სთქვა გერმანელებისა და ევროპის ცხოვრების შესახებ, ყველაფერი მოუხდება ქართველობას, საქართველოს ცხოვრებასაც, ჩვენა გვრწამს, რომ რაკი ევროპის ეკონომიურმა ყოფნამ წარმოშვა კლასთა ბრძოლა, ჩვენ ქართველებმაც ერთმანეთს თავპირი უნდა დავამტვრიოთ იმ დროს, როდესაც მხოლოდ კლასთა თანამშრომლობას შეუძლია იხსნას საქართველო დაღუპვისა და გაუბედურებისაგან, ვინაიდგან ჩვენი ეკონომიური პირობები, ჩვენი ზნეხასიათი, ისტორიული სული — დიაღ, ისტორიული სული ქართველი ხალხისა — დიდად განსხვავდება ევროპის ყოველ მხრივ ისტორიულ მსვლელობისაგან!..

ჩვენა გვგონია, რომ ხალხი უნდა ემსახურებოდეს პარტიას და არა პარტია ხალხს!

ასეთ უკუღმართ გულისთქმაზე დაგვაყენა — მეთქი ვიმეორებ, არამშობლიურმა აღზრდამ რუსეთის ბიუროკრატიისა და ცარიზმის ქვეშევრდომობამ საქართველოს უილაჯო და უმწეო მდგომარეობამ სხვა ხალხთა შორის...

გადმოვარდა თუ არა საქართველო თავის ისტორიულ გზიდან, — დაჰკარგა რა საქართველომ ამ ასი წლის წინად თვით არსებობა და უფლება თავის თავის ბატონობისა — იგი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა რუსის ჟანდარმს და ჩაეკლა გულში ყოველივე თავისებურობა. მას შეებღალა სინიდისი, წაუხდა სამართლიანობა, დაეცარა მარჯვენა.

საქართველოს მოწინავე წოდება, (ეს წოდება დღესაც და მით უმეტესს მაშინ კლასად ვერ ჩაითვლებოდა) საპყარ მონათ განერთხო რუსეთის ხელმწიფის ფერხთა წინაშე, რუსის პოლიტიკანურ სკოლებში გაწვრთნილი ახალგაზრდობის უმრავლესობა დაადგა გადაგვარების გზას, — ქართველი ხალხის უმრავლესობა გლეხობა კი თავზე მეხდაცემულივით გარეტიანდა. გაიყინა ერთ წერტილზე და ყველას ცოდვის მტვირთველი, ყველას მაცხოვრებელი, ყველასაგან საკრეჭ ცხვრად გადაქცეული, გაბოროტდა, პირველ ყოფილ მდგომარეობაში ჩავარდა. იგა მიატოვა ყველამ.

ვინც კი ანბანა ისწავლა ქალაქს, სამსახურს მიაშურა. ზიზილა კაკარდა არჩია სოფლის ბაღ-ვენახებს, ბრჭყიალა ეპოლეტები ამჯობინა მადლიან გუთანს, სხვისი ლაქიობა და დამონება ლუკმა პურისთვის უფრო ხელსაყრელად მოეჩვენა ქართველ წვრილფეხა მოანბანეს, ვიდრე თავისუფალი, ვაჟკაცური მუშაობა მინდვრად და სოფელი უკანასკნელ დრომდე დარჩა სათარეშოდ მოუმზადებელ მღვდლებისა, მექრთამე მწერალ-მამასახლისებისა, სისხლის მსმელ ბოქაულ სტრაჟნიკებისა. და დღეს გლეხი. (მისი უმრავლესობა) მხოლოდ ზოოლოგიური არსება-ღაა.

კეთილშობილი გლეხი გაბრიელი ილია ჭავჭავაძისა „გლახის ნაამბობი", ან ფაქიზი სულის პატრონი გლეხი გოგია უიშვილი ე. ნინოშვილისა, ან ბრძენი და დინჯი გლეხი ქრისტესიაშვილი ნ. ლომაურისა და სხვა მსგავსნი მათნი, აღწერილნი ჩვენს ლიტერატურაში არ არიან ტიპები გლეხისა. ესენი ნაყოფნი არიან მათ ავტორების ზეალმფრენ ფანტაზიისა, ესენი თუ გნებავთ გამონაკლისნი არიან, ამის დამამტკიცებელნი, რომ გლეხიც დაბადებულია გასაადამიანებლად, გლეხის მომავალია მისი სულიერ ძალების განვითარება, მაგრამ დღევანდელი ქართველი გლეხის ნამდვილი სახე არის სახე ისეთის არსებისა, რომელსაც არა აქვს ნდობა არავისი, გარდა თავისის წრის კაცისა. მას არაფერი სწამს არც თავადის, არც აზნაურის, არც მღვდლის, არც ნასწავლის, არც პარტიის კაცის.

მუდმივმა ჩაგვრამ, დამცირებამ, ყველაფამ მოტყუებამ მის გულიდან გამობერტყა ყოველივე ნდობა სოფლიდან წასულ კაცისადმი ისე როგორც ქარიშხალი დაბერტყავს ხომე მტევნებიდან დამწიფებულ მარცვლებს.

დღეს გლეხი სდგას მარტოდ მარტო, დაყრდნობია თავის მარჯვენას და იმ ერთ ბეწვა ნაჭერს მიწისას, რომელიც მას ას მიაუგდო ცხოვრების უკუღმართობამ.

დამფუძნებელი კრება ისრაელ ქართველთა ახალგაზრდობის წრისა. წრის მიზანია კულტურულ განმანათლებელი და ქართული ენის ისტორიის ლიტერატურისა და კულტურის სწავლით ნაბიჯების გადადგმა თვით განვითარება. განურჩევლად სქესისა და მდგომარეობისა. წევრობა ყველა ისრაელ ქართველს შეუძლია არჩეულ იქნას დროებითი გამგეობა 5 კაცისაგან თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სტუდ ისრაილ რიჟინაშვილი მდივნად სამსონ რიჟინაშვილი და მოლარედ სოლომონ ციციაშვილი. აირჩიეს აგრეთვე კანდიდატებიც გამგეობის წევრებისა. ასეთი წრის დაარსების საკითხი კარგი ხანია მომწიფებული იყო შემოწირულება მრავალი შეიტანეს თვით წევრებმა. ვუსურვებთ მათ წარმატებასა და გამარჯვებასა.

— **სასურსათო მმართველობა.** ქუთაისის სასურსათო კომისიამ დაადგინა სურსათ სანოვაგის საქმის უკეთესად დასაყენებლად დაარსოს ცალკე სასურსათო მმართველობა, რომელიც უნდა გამოეყოს არსებულ სასურსათო კომიტეტს.

— **ბეჭვდითი სიტყვის** მუშათა პროფესის ნალ. **კავშირი** შაბათს 20 მაისს გამართავს ქალაქის თეატრში დიდს სალიტერატურო საღამოს.

— გ. ქ. სლავსკის სცენაზე. 40 წლის მოღვაწეობის გამო, ბუშინ ქალაქის თეატრში გაიმართა რუსული სპექტაკლი.

— დეზერტირების მოძებნა ბ—ნი გრ. ურატაძე აცნობებს აღმ. კომიტეტს, რომ შესდგა ცალკე კომისია, რომლის მოვალეობ არის ქუთაისის გუბერნიაში დეზერტირებს და იმ პირთა მოძებნა, რომელსაც სამხედრო ბეგარა ეხებათ. აგრეთვე ლეჩხუმში გაიგზავნა 40 ჯარისკაცი ერთი ოფიცრის თანხლებით, რომელთაც იქაურ მცხოვრებთა ინტერესები უნდა დაიცვან გრ. ურატაძე თხოულობს, აღმასრულებელმა კომიტეტმა გასწიოს ხარჯები, რომელიც საჭირო ხსენებულ კომისიას და ლეჩხუმში გაგზავნილ რაზმს. აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მიიღოს.

◆ სვანეთის უმწვავ მდგომარეობაზე აღმასრულებელ კომიტეტში სვანების წარმომადგენელმა ბ-ნმა ამბროსი პირველმა მოხსენება წარადგინა. პირველი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მომენტს სვანეთი შესაფერად ვერ შეხვდა, რადგან იქ არავითარი ორგანიზაცია არ არსებობს და ხალხი ძლიერ დაგვიანებით გებულობს სახელმწიფოს ამა თუ იმ ცვლილებას. წარმომადგენელი კომიტეტს ატყობინებს, რომ ხალხში მეტად მაგრად გაიდგა ფეხი თავადაზნაურობისადმი სიძულვილმა და უთანხმოებამ. ბოლოს, როგორც იყო, მოხერხდა 11 სოფლის საზოგადოების შეთანხმება, რომელთაც აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი 66 მილიციელით. სვანები სთხოვენ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, მიეცეს სვანეთის სახალხო მილიციას 75 თოფი და აგრეთვე ის დანახარჯი, რომელიც გასწიეს სვანებმა არჩევნების მოხდენის დროს. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს საქმე განსახილველად მიანდო ტრიფონ ჯაფარიძეს, დ. ლორთქიფანიძეს და სტარცევს.

◆ **მომრიგებელი კამერა.** იმ მომრიგებელ კამერაში, რომელმაც უნდა განიხილოს ტრამვაის მოსამსახურეთა მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ მათ ქალაქის თვითმართველობამ ცალკე სასყიდელი მისცეს 8 საათზე მეტ მუშაობაში, ქალაქის თვითმართველობამ თავის წარმომადგენლებად აირჩია: კ. ნ. აფხაზი, ი. ი. ზურაბიშვილი, ი. ს. სპენდიაროვი, ს. ნ. ტიმოფეევი, მ. ა. ოგანეზოვი და მ. არუთინოვი.

◆ **გაზეთები „ფოზროჟ.“, „სახალხო ფურც.“ და „აიასტანი“** მაისის 13 ს არ გამოსულან, რადგან მემანქანის თანაშემწეები (ქაღალდის მიმცემნი(გაიფიცნენ.

— **შავი ზღვის რკინის გზა.** სოჭიდან მიღებულ დეპეშის მიხედვით, შავი ზღვის რკინის გზის მუშაობას დიდი დაბრკოლება გადაჰღობებია ახალ სენაკში. ადგილის პატრონები ლიანდაგის გასაყვანად მიწას არ უთმობენ თურმე გზას და ადგილობრივი მცხოვრებნი დიდი წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ გზის სამუშაოდ ტყვე ჯარისკაცები და ჩინელები მოიყვანონ. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ ამის გამო წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის კომისარიატს გაგზავნოს სამეგრელოში საქმის მოსაგვარებლად ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა თბილისში.

◆ **კორისტმის აარცევი აღმას.** კომიტეტში აცხადებს, რომ საჭიროა ქუთაისის მილიციელებს მიეცეთ რაიმე ჯილდო (ფულის სახით) და ან მათი დათხოვნა გადადებულ იქმნას 1 ივნისამდე. რომ მოსამსახურეებმა მაისის ჯამაგირი მიიღონ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა საფინანსო კომისიას გამოიკვლიოს, შეუძლია თუ არა ქუთაისის ადმინისტრაციას ამ ზედმეტ ხარჯის გაღება.

◆ სანდრო მესხმა 15 მაისს ფოთიდან ქუთაისში მომავალ მატარებელში იპოვა ქალის წამოსასხამი (პალტო), რომელიც გადასცა რკ. გზ. სადგურის მორიგ მოსამსახურეს.

◆ **სოხუმის კომისარი** ტელეგრაფით სთხოვს ქუთაისის აღმ. კომიტეტს საჩქაროდ დაატუსაღოს ქუთაისში მცხოვრები შანსკი. აღმ. კომ. მილიციის უფროსს აცნობა, რომ დაატუსაღოს შანსკი.

◆ კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციების საოლქო ყრილობა. ამიერ კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის დადგენილებით მაისის უკანასკნელ რიცხვებში ქ. თბილისში მოწვეულ იქნება საოლქო ყრილობა სოც.-დემ. ორგანიზაციებისა. ყრილობის დღიური წესრიგი შემდეგია: 1. საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2. ტაქტიკა მიმდინარე მომენტში, 3. ომი და ზავი, 4. მუშათა საკითხი, 5. აგრარული საკითხი, 6. ეროვნული საკითხი, 7. დამფუძნებელი კრება, 8. ადგილობრივი თვითმმართველობა (საოლქო და საერობო), 9. ლიტერატურული მოღვაწეობა, 10. სოც.-დემ. პარტიის ამიერ კავკასიის ორგანიზაციების წესდება, 11. სოც.-დემ. პარტიის გაერთიანება, 12. არჩევნები. პარტიის 200 წევრი ყრილობაზე გზავნის ერთს დელეგატს.

რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

დეპეშები

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის კაკ წერეთლის მიმართვა

(დასასრული)

პეტროგრადი. 8 მაისი ის მრავალრიცხოვანი მომართვანი, რომლებიც მე მომდის, ნათლად ამტკიცებს, თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს კისრად, როგორც პროლეტარიატს, აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის მომავალი ყრილობა შექმნის ფოსტისა და ტელეგრაფის მტკიცე ორგანიზაციას და მოსამსახურეთა მდგომარეობას დაწვრილებით გაარჩევს. ამ ყრილობის ხმას ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო მოისმენს და იხელმძღვანელებს. ამ ყრილობაზე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობა იქნება განხილული. ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ უპირველეს საკითხად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი უნდა იყოს. ჩემი მხრით მე ყრილობას წარუდგენ ფინანსიურ მდგომარეობის ანგარიშს, რათა ყრილობამ განსაზღვროს ის საშვალებანი, რომელთა მეოხებითაც მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება მოხდება. ეს მომატება სახელმწიფოს ქონების მიხედვით იქნება.

ამხანაგებო და მოქალაქენო. დიდი საპასუხისმგებლო დროა. ყოველი ჩვენი მოქმედება საპასუხისმგებლოა. ყველა ჩვენგანი ქვეყნის წინაშე მოვალეა და ამ მოვალეობას არ უნდა გაექცეს. ჩვენი ძმები თხრილებში ჩვენს საუკეთესო ქონებას, თავისუფლებას, იცავენ, შინ ჩვენც მოვალენი ვართ ეს თავისუფლება განვამტკიცოთ. მტერი რევოლუციის დაშლას და კონტრრევოლუციის შექმნას ეცდება. დემოკრატიულ საფუძვლების დამყარებაში ფოსტას და ტელეგრაფს დიდი ადგილი უჭირავს. იგი აგროვებს და აერთებს მთელს რუსეთს, მისი ხალხის სურვილს და აზრს. დამფუძნებელ კრების შეყრაში მას დიდი მნიშვნელობა ექნება. უფრო მეტი იქნება ეს მნიშვნელობა მაშინ, როდესაც დამფუძნებელი კრება შეიყრება და მის სიტყვას მთელს ქვეყანას მოსდებს. მრწამს, რომ მე და ფოსტა-ტელეგრაფის მსახურნი რევოლუციის საქმეში შეერთებულად ვიმოქმედებთ.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი.

ირაკლი წერეთელი.

ალბერტ ტომა კიევში 12 მაისს კიევში ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის სურსათის მინისტრი ალბერტ ტომა. მას მიეგება ადგილობრივი ფრანგთა ახალ შენის წარმომადგენლები და აღმასრულებელ კომიტეტის წევრები. ალბერტ ტომას სხვა და სხვა დაწესებულებასთან და პირებთან საუბარი ქონდა რუსეთში სურსათ სანოვაგის საქმის მოწესრიგების შესახებ.

გლეხთა მოძრაობა. კიშინევი. მაზრის კომიტეტი სთხოვს გუბერნიისას ნება დართოს მას იარაღის საშუალებით წინ აღუდგეს გლეხობას, რომელთაც დაიტაცეს სხვისი მამულები და ამ საქმის თაობაზე გუბერნიის კომისართან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს. საგუბერნიო კომიტეტმა ჯერჯერობით გლეხთა წინააღმდეგ გაჰგზავნოს 30 ცხენოსანი დარაჯი, მხოლოდ თუ ესენი ვერას გახდებიან, მაშინ ჯარს მიმართონ.

შუამდგომლობა

კრემენჩუგი 8 მაისი. ქალაქის თვითმმართველობამ დროებითი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ მას წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებლებს დახმარებისათვის სესხის სახით ორი მილიონი მანეთი მიეცეს.

წყალდიდობა

სიმბირსკი 8 მაისი. სადგურ ჩიშას მახლობელად თავიდან აიცილეს წყალდიდობა. სიბირსკიდან მიმავალ მატარებლის გზაზე რელსები ლიანდაგზე აყრილი იყო. მემანქანემ და მისმა თანაშემწემ დროზე შეუჩერეს მატარებელი, რომელსაც დიდი თანხა თან მიქონდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალ კომიტეტის განკარგულებით ადგილობრივი პარტიის კომიტეტი დაიშალა.

ტყვეობიდან გამოქცეულნი

პეტროგრადი 13 მაისი ამ დღეებში გერმანეთ ავსტრიის ტყვეობიდან გამოიპარენ 250 ჯარისკაცი. ჯარისკაცები მოითხოვენ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას და აგრეთვე გამოცემულ მოწოდებაში აღნიშნავენ თუ რა საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან ავსტრო გერმანეთში რუსის ტყვე ჯარისკაცები. უმთავრესად ჯარისკაცებს შიმშილობა აწუხებსო.

ალ. კერენსკის მოგზაურობა სამხედრო და საზღვაო მინისტრი ალ. კერენსკი დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე იყო. იგი დაესწრო ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობას დელეგატებს მომენტის შესაფერ სიტყვით მიმართა. ჯარის წარმომადგენლები აღფრთოვანებით მიეგებენ ახალ მინისტრს და განუცხადეს მას სრული მორჩილება და შეთანხმებული თანამშრომლობა. 12 მაისს კერენსკი კიევში მივიდა. სადგურზე მინისტრს მარსელიოზის სიმღერით შეეგებენ. კერენსკიმ შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა და აღნიშნა დღევანდელ მომენტის სიმძიმე და ყოველ მოქალაქის წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე. მინისტრი მოუწოდებდა ხალხს, რომ იგი ყოფილიყო ზომიერი და ფრთხილი დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც საბოლოოდ შეიმუშავებს და გადასწყვეტს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმასო. ხალხი კერენსკის დიდის პატივცემით უსმენდა და ლაპარაკის დროს მხურვალე ტაშის ცემით აჯილდოვებდა. საღამოთი კერენსკი ისევ ბრძოლის ველზე გაემგზავრა.

ეროვნული კითხვა.

ხალხის თავისუფლების პარტიის ყრილობა და ავტონომია.

პეტროგრადი. მაისის 12 კოკოშკინის მოხსენების შემდეგ თვითმართველობის და ავტონომიის შესახებ ხალხის თავისუფლების პარტიამ შემდეგი რეზოლუციები გამოიტანა: რუსული ენა უნდა იხმარებოდეს არმიის და ფლოტის ცენტრალ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. ადგილობრივ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს უფლება ენიჭებათ თავისი ენა იხმარონ, ხოლო რუსული ენა უმცირესობისთვის უზრუნველ ჰყონ. საგუბერნიო და საოლქო ერობას ეძლევა პროვინციალ ავტონომიის უფლება, ადგილობრივ კანონების გამოცემა, სახელმწიფო მთავრობის უზრუნველყოფა და იმ კანონების აკრძალვა, რომელნიც ავნებენ ავტონომიას- რაც შეეხება ცნობილ ტერიტორიალ ერთეულთა შეერთებას და საზღვართა ცვლილებას თვითმართველ ერთეულებს ნება ეძლევათ საქმე თვითონ მოაწესრიგონ. პარტიის ცენტრალ კომიტეტს ნაციონალ პროგრამის შემუშავება მიენდო.

ებრაელები

კიევი. მაისის 11. სიონელების საოლქო კრებამ გამოიტანა პროტესტის რეზოლუცია რუმინელ ებრაელთა დევნის წინააღმდეგ და დაადგინა ჩქარი დახმარება აღმოუჩინოს პალესტინის ებრაელობას. კრება მოითხოვს ნორმალურ ტიპის სკოლას, რომელშიაც ყველა საგნები ებრაელურ ენაზე ისწავლება.

[illegible] მასწავლებელთა ყრილობა.

ჩერნიგოვი. მაისის 11. [illegible] გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა. რომელსაც 1.500 კაცი დაესწრო. კრებას სასურველად მიაჩნია, რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება. ყრილობა მოითხოვს დემოკრატიულ რესპუბლიკას [illegible] უმცირესობის უფლებათა უზრუნველ ყოფას.

ოსების ყრილობა ბაქოში.

აპრილის 23 ბაქოში დაიწყო ბაქოელ ოსების ყრილობა ნაციონალ პოლიტიკურ საკითხების მოსაგვარებლად. ყრილობამ მოისმინა ჩრდილო-კავკასიის დელეგატების ყარაევის და ჰაგკაევის მოხსენებანი, რის შემდეგაც გადაწყვიტა, მთიელი ხალხებთან და მათ კომიტეტთან კავკავში მუდმივი კავშირი იქონიონ.

ელზას ლორენის კითხვა

ელზაზას—ლორენის მომავალ ბედის შესახებ ამ ბოლო ხანებში სხვა და სხვა აზრი დაიბადა თვით ფრანგთა შორის. ამის გამო „ელზას—ლორენის სარესპუბლიკო კომიტეტმა“ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ომის დასაწყისში, სახელდობ ელზას—ლორენი უნდა შეუერთდეს საფრანგეთს. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ხსენებულ საკითხის შესახებ ამას წინად შეერთებულ შტატებმა.

მთიელთა და ყაზახთა შეერთება

მთიელთა ყრილობის პრეზიდიუმს კავკავში ყაზახთა მეორე ყრილობისგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „პრეზიდიუმი თავისუფალი ყაზახთა მეორე წრისა ამით აუწყებს მთიელთა კრებას, რომ მას საჭიროდ მიაჩნია მთიელთა და ყაზახთა დამეგობრება. ამისთვის გადაწყვეტილი გვაქვს ამ მოკლე დროში მოვახდინოთ შეერთებული ყრილობა ამ ორ მეზობელ ხალხისა. პრეზიდიუმი იმედოვნებს, რომ მთიელთა კრება სიხარულით მიეგებება ყაზახთა მოწოდებას და საერთო საქმის ერთგულად დასაგვირგვინებლად ხელს შეუწყობს დამეგობრებას“.

როგორც გაზეთი „თერგი“ გადმოგვცემს, მთიელთა ყრილობამ ეს მოწოდება მიიღო და მაისის 5 ს კავკავში კადეტთა კორპუსის დარბაზში შეერთებული კრება მოხდარა.

უკანასკნელი ამბები.

ყოფილ მინისტრის ჯიუტობა.

კანონების დამრღვეველ, იუსტიციის მინისტრად ნამყოფ, შჩეგლოვიტოვს უკვე უღიარებია თავისი ცოდვები. ასევე არ იქცევიან თურმე დ-ნარჩენი მოხელეები რაც ერთობ აძნელებს და აჭიანურებს საქმეს.

ვექილი ქალები. პეტროგრადის ნაფიც ვექილთა საბჭოს თავის წევრებად 22 ქალი მიუღია საბჭოს თავმჯდომარეს მათდამი მიმართულ სიტყვაში სხვათა შორის გამოუთქვამს, რომ ქალები ვექილთა კორპორაციის ზნეობრივ თვისებებს მაღლა ასწევენო.

პეტრ. მუშები შემრიგებელ კამერებს არა სცნობენ. პეტროგრადის მუშათა შორის შემთანხმებელ კომისიებს არავითარი გავლენა არა აქვთ. მაგალითად ბრუსნიცინის ტყავეულების ქარხანაში მუშები გარს შემორტყმიან იმ შენობას, რომელშიაც მუშების მიერვე წინად მიღებული შემათანხმებელი კომისია იმყოფებოდა და ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მოსთხოვეს; უკიდურეს შემთხვევაში მუშები ძალის ხმარებას აპირებდნენ.

ვიბორგის მხარეზე მუშების შეიარაღებული წითელი რაზმი მივიდა შემათანხმებელ კომისიასთან, სროლას დაემუქრა, თუ უკანასკნელი სავსებით არ დააკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებებს. კომისიამ დაუთმო.

შავი ხალხი.

პლეხანოვმა შემდეგი წერილი მიიღო: ,,ამხანაგო პლეხანოვ!‘‘ წავიკითხე რა თქვენი გაზეთი ,,ერთობა‘‘ და მივაქციე რა ყურადღება თქვენს მოწოდებას: ,,პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით‘‘, მე თქვენ გირჩევდით ასე დაგეწერათ: ,,ბურჟუებო მთელი ქვეყნისა შეერთდით‘‘, ვინაიდან მთელი შეხედულება თქვენი გაზეთისა ეწინააღმდეგება მუშათა და გლეხთა კლასის მოთხოვნილებებს. მე

მისი ღმერთია მამული, მისი იდეალია ამ მამულის შერჩენა, მისი სჯულია ამ მამულის აყვავება. მას არ სწამს არც შენი სკოლა, არც შენი სამართალი, არც შენი ძმობა-ერთობა, არც შენი მღვდელი. არ სწამს ამიტომ, რომ დღევანდლამდე ყველასაგან მოტყუებული რჩებოდა.

გლეხი მარტოა. მარტო იმღერის და ბედნიერია მხოლოდ მაშინ, როცა ჰფურჩქნის და უვლის თავის ვენახს, როცა თოხნის თავის ყანას, როცა ოფლითა რწყავს თავის მინდორს.

გლეხი—განხორციელებული შური და ცუღლუტობაა, როცა ის საქმეს იჭერს „ნასწავლებთან“, მაგრამ იგივე გლეხი კლდეა, შეუდრეკელია პატიოსანია, თავის სიტყვის კაცია, როცა საქმე შეეხება მის ნაჰირნახულევს, მის წოდებას, მის მეზობლობას, მის ზნე-ჩვეულებას მის ღმერთს, მის ნათლო-მირონობას, მის მამაპაპათა აკლდამებს, მის დედულ-მამულს.

გლეხი ლაჩარი იყო, როცა თავს ადგა მითრახებით ბოქაულ-სტრაჟნიკები, გლეხი მატყუარა იყო, როცა უხდებოდა ფიცის მიღება რუსის სასამართლოში, გლეხი დღევანდლამდე თავს იკატუნებდა თქვენს წინაშე, მაგრამ იგივე გლეხი გმირი იქნება, თუ მისცემთ მას სრულ თავისუფლებას, გლეხი გამტანი და პირდაპირი იქნება, თუ მისცემთ მას ხალხოსნურ სასამართლოს გლეხი მალე განვითარდება თუ მისცემთ მას მშობლიურ სკოლას, გლეხი წელში მალე გასწორდება, თუ დაუტოვებთ მას შრომის ნაყოფს, გლეხი ბურჯთი შეიქმნება ერისა, თუ არ შეუგინებ მამა პაპათა საფლავს.

გლეხის სამშობლო—როგორც ჩვენ გვესმის ეს მცნება,—მხოლოდ მისი სოფელია. მოუწყეთ ეს სოფელი, გაანათლეთ იგი და მაშინ იგი თქვენსავით მედგარი დამცველი შეიქნება ივერიისა.

ამას ელოდებოდა გლეხი მთელის საუკუნოებით, ამას ელის დღესაც, თუმცა ჯერ კიდევ არა სჯერა რა სოფლად მოსიარულე მქადაგებლებისა, რადგანაც ვერც ერთს მქადაგებელს ვერ უთქვამს ისეთი მტკიცე სიტყვა, რომელიც შეეფერება გლეხის მტკიცე რწმენას.

გლეხი ალღოთი გრძნობს, რომ იგი თვითვე უნდა იყოს თავის ცხოვრების კანონმდებელი და მასთან კი გარედან მიაქვთ ეს კანონები და თავზე ახვევენ იმას, რაც მის მრავალ-ტანჯულ ყოფნას დიდსა და სამუდამოდ გამკურნებელ მალამოს ვერ მოსცხებს.

მართალია 1905 წლის მოძრაობამ ცოტათი გამოაფხიზლა ჩვენი გლეხი, მაგრამ მისმა მომდევნო რეაქციამ და ტანჯვა წვალებამ გლეხი უფრო გულჩათხრობილი გახადა და დღეს, დღევანდელ მქადაგებლებს მეტის სიფრთხილითა და უფრო მეტის გამოცდილებით ადევნებს თვალ ყურს.—

რა არის მიზეზი ამ ორკეცი უნდობლობისა და მიუძლვით თუ არა ამაში რაიმე დანაშაული ჩვენ პარტიულ მუშაკებს, ან როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დავიმსახუროთ სრული ნდობა გლეხისა ამაზე შემდეგ.

ია ეკალაძე.

გაბედვით ვიტყვი, თქვენ ხართ ის კაცი, რომელმაც თვისი სინდისი კაპიტალს მიჰყიდა. ამხანაგო გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ თქვენ ბურჟუების მეტი არავინ გამოგყვება. ვამბობ აშკარად და გაბედვით ამას მე, ბალტიის ფლოტის მატროსი, სტეფანე კოკოტკო, 24 აპრილი 1917 წ. ეს წერილი 2 პლეხანოვის ,,ერთობა''ში დაიბეჭდა და პლეხანოვმა ასეთი შენიშვნა უძღვნა: ,,როცა მე გამოვეცი ,,ჩვენი აზრთა სხვადასხვაობა'', მაშინ თვით ნასწავლ პირთა წრეშიაც გასავალი ქონდა იმ აზრს, რომ მე მივეკედლე მთავრობას ახლა მე მთვლის სინდისის გამყიდველად მხოლოდ შავი ხალხი. აქედან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ რუსეთი წინ მიდის, მაგრამ არა ისეთი აჩქარებით, როგორც ეს სასურველი იყო''.

ცუდი საშუალება.

დეპეშა შემდეგ არა სასურველ ამბავს გვაუწყებს. ქ. კიშენევის მაზრაში გლეხებს მიუსაკუთრებიათ სხვისი მამულები. მხოლოდ, როდესაც მათთან ამ საქმის თაობაზე კომისარს მოლაპარაკება მოუნდომებია, მათ ცივი უარი განუცხადებიათ. გუბერნიის კომიტეტს აღმოცენებულ უთანხმოების სალიკვიდაციოდ ცხენოსანთა რაზმი გაუგზავნია. ასეთი ზომა თავისუფლების და სამართლიანობის განმტკიცების მომენტში უაღრეს უსამართლობად უნდა ჩაითვალოს. ამით უფრო გართულდება და გამწვავდება მდგომარეობა. გლეხებიც ვერ მოქცეულან დროის შესაფერისად და მათ მიწის კითხვაში მოუთმენლობა გამოუჩენიათ, მაგრამ მთავარი მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. გლეხში მიწის მითვისების მიდრეკილება ხელოვნურად შექმნეს. იგი სხვის მამულებს ისაკუთრებს, ხოლო ამავე დროს თვითონ უკიდურეს მესაკუთრედ გამოდის. გლეხი მიწის სოციალიზაციას კი არ მოითხოვს, არამედ იმას, რომ ამ მიწაზე მას ჰქონდეს ფართე საკუთრება. ეს ყველა იმათთვის, ვინც ცხოვრებას კარგად უკვირდება, აშკარა უნდა იყოს. ხალხი მოქმედებს, კითხვას სწყვეტს არა თავის ჭკუით, არამედ ჩაგონებით, მაშასადამე მმართველი ორგანოები უპირველეს ყოვლისა ვალდებულნი არიან ხალხის წინაშე მორალური მოვალეობა მოიხადონ და მას შეაგნებინონ თუ რა არის შეუფერებელი და შეუძლებელი მის ცხოვრებისთვის და არა რეპრესიებით დატუქსონ.

გლეხობის მოძრაობის წინააღმდეგ იარაღის ხმარება რევოლუციისთვის დიდ საფრთხის გამამზადებელი იქნება.

ხალხთან ყოველ უკიდურეს შემთხვევებშიც კი მორიგებაა მიუცილებელი და საჭირო.

ი. იმერელი.

ჩვენი ესერები.

ამ უკანასკნელ ჟამს ესფერებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის ერთ გვარი მყუდროება, შეთანხმება ჩამოვარდა. ამ ამბავმა ყველან დიდათ გაგვახარა. გაგვახარა მით უმეტეს, რომ გვეგონა პატივცემულმა ესფერებმა თავისი შეხედულობა საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის საზღვრების შესახებ შესცვალესთქო, მაგრამ ჩვენი სიხარული ერთგვარი თავმოტყუება გამოდგა. აი რატომ, ამ ერთი კვირის წინედ ესფერებმა ჩვენი დედა ქალაქ თბილისშა თავის დელეგატების კონფერენცია გამართეს. ამ კონფერეციაზე მათ ისევ თავისი ძველებური ლოზუნგი საქართველოს რეალური მოსახლეობა წამოაყენეს. ზაქათალისა და სოხუმის ოლქების უდიდესი ნაწილი, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს საუკეთესო ტერიტორია საქართველოს ჩამოაშორეს და სხვას უტოვებენ საჯიჯგნათ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, როგორ შეხედავს ამას, მე ეს არ ვიცი, ვიტყვი მხოლოდ იმას კი, რომ ესფერებისაგან ასეთი განაჩენის გამოტანა საერთო ჩვენ საქმეს დიდათ ავნებს. საქართველოს კუდ-მოჭრილი ტერიტორიული ავტონომია არ ვიცი რომელი ქართველისათვის უნდა იყოს ხელსაყრელი და სასურველი.

დიდათ საჭიროა ეროვნული დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა ესფერთა დელეგატების უკანასკნელ დადგენილებას შესაფერი ანგარიში გაუწიონ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ეხლა ხალხში ერთგვარი მუშაობა სწარმოებს ამა თუ იმ პარტიის წევრებისაგან და, ნუ თუ, ეროვნულ დემოკრატების პარტიის მიმდევრებმა არ უნდა იცოდონ ვინ არის მათი მოაზრე და ან რაზე უნდა ილაპარაკონ ხალხში.

მ. ქუთათელი.

შაბათა თოფჩიაშვილი

(ნეკროლოგი)

12 მაისს ქუთაისში გარდაიცვალა ქუთაისში ცნობილი და პატივცემული ვაჭარი ქართველი ისრაელი შაბათა თოფჩიაშვილი განსვენებული ქუთაისის ქართველ ისრაელთა საზოგადოებაში ერთ დაუღალავ მოღვაწეთ ითვლებოდა არც ერთი საზოგადო საქმე ქართველ ისრაელთა შორის არ გაკეთდებოდა ისე, მასაც რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. განსვენებულს ქუთაისის გუბერნიაში მეტად გულ კეთილ ადამიანად სცნობდნენ. ჩვენ ქუთაისის ისრაელებმა განსვენებულთან ერთად ღრმად პატივცემული და ენერგიული მოღვაწე დავკარგეთ.

ჩვენი საზოგადოება ღირსეულ შვილს ყოველთვის ღირსეულათ მოიხსენიებს.

განუსვენოს მის სულს საიქიოს და ქება-დიდება მის სახელს სააქაოს.

ბ. ე—შვილი

მოწერილი ამბები.

ხარაგოულის რაიონი.

ხარაგაულის რაიონში ისევ ძველი მთავრობის სული ტრიალობს. 905—906 წლებში ეს რაიონი თითქმის მთელი შორაპნის მაზრის ტონის მიმცემი იყო. ეხლა კი ისე დაქვეითებულია, რომ მამასახლისის გამოცვლაც ვერ მოუხერხებიათ. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ცხრაას ხუთის მოძრაობის ინიციატორები და ენერგიული კომ-უშავენი ყველანი ომში არიან გაწვეული და რომელნიც ომს აშორდნენ, ისინი კი საზღვარ გარეთ იმყოფებიან და სამშობლო კუთხის მოვლა-პატრონობას მოკლებულნი არიან, ყველაზე უფრო ხარაგაულის რაიონის მცხოვრებთ, განსაკუთრებით ს. ფარცხნალს, ვანს, სხლითს, ლეღვანსა და მარელისს მძიმე ლოდათ აქაური ტყის უფროსი (Лѣсничій) აწევსთ. ეს ვაჟბატონი სულითა და გულით ძველი მთავრობის მოხელეა, ხალხს ავიწროებს და ტანჯავს. მისი დამქაშები—ტყის მცველები ყველა ძველებია. სახელმწიფო ტყიდან დანაცავენ, გამხმარი ფიჩხის გამოტანის უფლებასაც არ აძლევენ საწყალ ხალხს. ბ. ტყის უფროსს გვარი რუსულ ყაიდაზე აქვს გადაკეთებული, თუმცა თითონ ქართველია. ასეთი პირის მოთმენა ძველი მთავრობის დროსაც შეუძლებელი იყო ხალხისაგან, არამც თუ ამ თავისუფლების დროს. ხალხი დრტვინავს და სწუხს, მაგრამ მშველელი არსად სჩანს. დაწვრილებით შორაპნის ,,ლესნიჩის'' და მისი ,,ობიეზდჩიკების'' ოინების აღწერა ძრიელ შორს წაგვიყვანს. ფრიად საჭიროა ამის გამომზეურება თავს იდვას ადგილობრივმა სარაიონო კომისარმა და ეს ძველი მოხელეები არხივს ჩააბაროს და მათ ნაცვლად ახლები დანიშნოს. ამას მოითხოვს ეხლანდელი მომენტი, ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესი.

მ. ფარცხნალელი.

რუსეთი.

ჰირნახულის დაზარილება.

კიშენევის გუბერნიაში ძლიერი სეტყვა მოვიდა, რამაც დიდათ დააზარალა ბაღები ვენახები და ყანები. ზარალი 400,000 მანეთს აღემატება.

ცეპელინი.

11 მაისს იასიდან ადესაზე გადმოფრინდა გერმანელთა ცეპელინი. ქალაქის გარნიზონმა ზომები მიიღო მის დასახვედრად.

ქორწინების ახალი წესი.

უმართებულესმა სინოდმა ქორწინებისთვის შემდეგი ახალი წესი შეიმუშავა. ქორწინების დროს კაცს და არც ქალს არ დასჭირდებათ პიროვნების დასამტკიცებელ საბუთის წარდგენა: აგრეთვე არ სთხოვენ „თანხმობი“ს ქაღალდს. ამის გარდა, თუ ცოლქმარნი ერთად ვერ შესძლებენ ცხოვრებას და მათ შორის რამე უთანხმოება ჩამოვარდება. სრული უფლება ეძლევათ დაუყონებლივ გაიყარონ.

ქალაქის თავი-პროვოკატორი.

ალჩინსის (ჩრდ. რუს.) ქალაქის მოურავი, ნაფიცი ვექილი გურინი დამცველ პოლიციის წევრი და პროვოკატორი გამოდგა.

საზარელი დრამა მოსკოვში.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე ნინა ვალჩინასა სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა. სასტუმრო ოთახში შესვლისას შეამჩნია, რომ მისი ქმარი-გვარდიის ოფიცერი ვიღაც უცხო ქალს ეხვეოდა ვალჩინისა გულშეწუხებული უკანვე გამობრუნდა, აიღო რევოლვერი, შევიდა სასტუმროში და სამჯერ დაახალა თავის ქმარს და უცნობ ქალს. რევოლვერის ხმაზე ოთახში შემოვარდა ვალჩინის 12 წლის ვაჟი გიმნაზიელი, დედამ იგი უც ბად დაკოცნა, შემდეგ მოკლა და თავიც მოიკლა.

სურსათი პეტროგრადისათვის.

პეტროგრადის სასურსათო კომიტეტი სთხოვს მოსკოვის კომიტეტს გაუგზავნოს მას ნაწილი სურსათისა, რადგან პეტროგრადში დიდი შიმშილობაა,

სახალხო თავისუფლების პარტია და მიწის კითხვა.

კადეტთა ყრილობაზე დიდი უთანხმოება გამოიწვია მიწის კითხვის ხელახლად განხილვამ. მაკლაკოვი წინააღმდეგი იყო ყოველ გვარ ახალ აგრარულ პროგრამის იგი (მაკლაკოვი) მოითხოვს, მემამულეთ ჩამოერთვათ ისეთი მიწები, რომელსაც ისინი ვერ ამუშავებენ, რაც შეეხება ისეთი მემამულებს, რომელსაც მემამულენი დაუმუშავებლად არ სტოვებენ (თუნდაც ნაქირავებ მუშა ხელით), ხელუხლებელი უნდა დარჩეს. ამაზე როდიჩევმა უპასუხა ასეთი დებულება სააგრარო კითხვაში მიწაზე კერძო საკუთრებით პრინციპს იცავსო. გარდამისა მაკლაკოვის მოსაზრება როდიჩევის აზრით არა ნორმალ მფლობასაც ამაგრებს რდგან მასსა ყოველთვის მოხარულია, რაც შეიძლება ფართე საკუთრება ჰქონდეს, რომელი სიხარული და სურვილი, თქმა არ უნდა, გაორკეცდება თუ მას ვინმე თეორიულად; თუ პრაქტიკულად ხელს შეუწყობს და წააქეზებს. როდიჩევი მოითხოვს, რომ მიწის მფლობელობაზე შეწერილ იქმნას პროგრესიული გადასახადები, რომელიც საკუთრების მოსპობაზე უფრო რადიკალი ზომაა. ორატორებმა ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ ჩასთვალეს და უარყვეს. კრების უმრავლესობა მოითხოვდა მიწის კითხვაში ახალ კორექტივის შეტანას.

პროფესორი ჯაშუში.

ძველ მმართველობის ქაღალდების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი ჯაშუში ყოფილა და „ოხრანკა“ში უმსახურნია.

უარის თქმა.

მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭომ დროებითს მთავრობას სხვა და სხვა მიზნისთვის მოსთხოვა დიდი სუბსიდიის დანიშვნა. დროებითს მთავრობას გადაუწყვეტნია მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დიდ სუბსიდიის მიცემაზე უარი განუცხადოს.

პ. მილიუკოვის განცხადება.

პ. მილიუკოვმა სთქვა: ჩემი სამინისტროდან გამოსვლა სხვათა შორის ნეკრასოვის კომბინაციებითაც იყო გამოწვეული სამინისტროდან გამოვედი, მაგრამ ეს ჩემთვის პირადათ მეტად ხელსაყრელია. მინისტრის პორტფელი მთელი ხალხის წინაშე პასუხის მგებლობას მაკისრებდა. აწი კი თავისუფალი მოქალაქე ვარ და შემიძლია ვსთქვა ყველაფერი, რის თქმაც დღემდის მიძნელდებოდა. რუსის ხალხს მე ხელ ახლა აუხსნი, თუ რას ნიშნავს ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო. სტამბოლ-დარდანელის დასაკუთრება იყო ამ ომის მთავარი მიზანი... თუ ვერ მივიღებთ სრუტეებსა და სტამბოლს, მაშინ რუსეთისთვის ომი წაგებულია. ჩემს მინისტრობის უკანასკნელ დღემდე მედგრად ვიცავდი არჩეულ პოზიციას და საშუალება არ მივეცი, ინგლის საფრანგეთს, ეთქვა, რომ რუსეთი უარყოფს დარდანელს და კონსტანტინეს ქალაქს. ცხადია მოკავშირეები, რომლებმაც პირველად ჩვენ დაგვითმეს სრუტეები, ახლა მას თვითონ ჩაიგდებენ ხელში. მერე ვისი ბრალი იქნება? ისევ ჩვენი.

ისტორია არ შეგვინდობს ასეთ დანაშაულს. პ. მილიუკოვი მოითხოვს, ავსტრია დაყოფილ იქმნას მის შემადგენელ ეროვნებათა შორის. მილიუკოვის აზრით ავსტრიის დაყოფა მომავალ საპატიო ზავის და მშვიდობიანობის ხანგრძლივობისთვის მიუცილებელია.

„რუსკ. ვოლიას“ ცნობით პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრ. კომიტეტმა სასურველად სცნო, რათა ჯარისკაცთა ცოლებს კერძოს სახით 20 მანეთამდე ეძლეოდეთ. გამგეობის წევრს პ. ნ. გეს. რომელიც კერძის დარიგების საქმეს განაგებს, უნახავს ფინანსთა მინისტრი ტერეშჩენკო, როდესაც გამოუანგარიშნიათ, აღმოჩენილა, რომ თუ მართლა ჯარისკაცთა ცოლებს თვეში 20 მან, აძლიეს, სახელმწიფოს ხარჯი, წლიურად 7,200,000,000 მანეთით გაიზრდება. ეჰვს გარეშეა ასეთ ჯამს რუსეთი ვერავითარ საშვალებით ვერ გაიღებსო დასძენს გაზეთი.

უცხოეთი.

გერმ. სოც. დემოკ. სახელ. ხარჯთ აღრიცხვის წინააღმდეგ.

სტოკჰოლმიდან მოსულ ცნობების მიხედვით გერმანიის რეიხსტაგის სესიის დახურვის წინ მომავალ წლის სახ. ხარჯთ აღრიცხვის კანონ-პროექტი მიუღიათ მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიციაში სოც. დემოკრატთა ორივე ფრაქცია იყო.

მოკავშირეთა ეკონომიური კონფერენცია.

რომში კაპიტოლიის ერთ ერთ დარბაზში 4 მაისს შეთანხმების სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ეკონომიური კონფერენცია დაიწყო. პირველ დღეს წაიკითხეს სახელმ. სათათბიროს კომიტეტის დეპეშა, რომელშიაც მწუხარება იყო გამოთქმული იმის გამო, რომ რუსეთში მომხდარ ამბების გამო კონფერენციას ვერც ერთი რუსთაგანი ვერ დაესწრება.

შიმშილი საბერძნეთში.

2 მაისიდან ათინაში სრულიად აღარ იშოვნება პური. მეპურეები გამხმარ ცერცვს ჰყიდიან. მდგომარეობა მეტად გამწვავდა. მოსალოდნელია მშიერთა ამბოხება. მთავრობა ყოველ ღონესა ხმარობს, რომ უბედურება თავიდან აიცილოს. და უკვე გამოაცხადა, რომ სოლუნში გასაგზავნი პურიდან 60000 ფუთი ათინელებისათვის გადაედოთ ვითომ. მიუხედავათ ამისა საზოგადოება შიშს შეუცავს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს ჩემი წერილი მოათავსოთ თქვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში:

მაქვს პატივი შევახსენო ყველა იმ პირთ, ვინც წარსულს 1916 წ. ივლისის თვეში აგარაკ - მუამში - ლაშხეთში (სვანეთი) ოქმით, რომელიც ჩემ ხელთა, აღუთქვეს წიგნ—გაზეთებით დახმარება უფასო არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის სამკითხველოს, რომ კეთილ ინებონ ეხლავე გამოუწერონ აღთქმული გაზეთები და შეასრულონ სხვა აღთქმულება იმ ანგარიშით, რომ 1 ივნისიდან ყოველივე შეწირულება გაზეთები თავის ადგილზე ე. ი. ლაშხეთში მიდიოდეს მღვდ. არსენ ?ონიანის სახელზე რომლის ზედამხედველობის ქვეშ არის სამკითხველო. გაზეთი „Возрождение“ ჩვენგან არის გამოწერილი.

პატივისცემით აკაკი გ. ლომთათიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი გამომცემელი

დ. ბ. კვირკველია.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათიშაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.	წ.
„	საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს. 40	„
„	ღამის	1 ს.	„
ფოთიდან	დილის	10 ს. 26	“
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს. 50	„
ხაშურიდან	დილის	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.	„
„	ღამის	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	დილის	7 ს.	„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	დღით	5 ს. 20	„

სუსუნატით (ონანიზმი) ავადმყოფებს

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას **„რეზურონილი“**, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნა** ტს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ. საშუალება ერთნაირათ ნაცადია როგორც ვაჟებზე ისე ქალებზედაც. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, დაამტკიცა რომ

რეზუროლინი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენად ავადმყოფისა ღირს 35 მან. 50 კ. ნახევარი კურსი 21 მენეთი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანათის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში.** Тифлиское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1.

კაცობრიობა საუკუნოებით ელოდა

დიდი ხნის განმავლობაში მსწავლულები, პროფესორები და შინაგან ავადმყოფობათა სპეციალისტები იმის ძიებაში იყვნენ, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა განეკურნათ დაუძლურებულნი, სისხლ ნაკლებნი და ბოლოს იმ დასაკვნამდე მივიდნენ, რომ **ბიუხნერის** მიერ აღმოჩენილი **სექარის სითხე** (თესლეულობისა და ცხოველთა ჯირკვლებიდან გამოხდილი) საუკეთესო საშუალებაა ზემო ჩამოთვლილ ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ძალიანაც მოქმედებს მათზე. მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან. მეოთხედი - 8 მან. ეგზავნება ყველას ვინც 5 მან. ბეს გამოგვიგზავნის. წამლისათვის და ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.** თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 გან. К—2.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში